თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №36

27 ივლისი, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის N139 ბრძანებით დამტკიცებული „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპური დებულების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2018 წლის 24 ივლისის N4666-13 წერილიდან გამომდინარე

მუხლი 1.

ცნობად იქნეს მიღებული თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ანგარიში.

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში, (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ავთანდილ ბუხაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე